ბოლშევიკების უფლებას რუსეთში ყველა არ ღიარებს და მაშასადამე ვერც ილაპარაკებს რუსეთის სახელით!

— ეს თქვენი საშინაო პოლიტიკის

საც. ჩვენ გვწამს, რომ რუსეთში მტკიცე ზავი მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა მოისპობა საპარტიათაშორისო შუღლი და განხეთქილება.

— ზავის გარეშეობებს, ხომ არ უყურებთ დამფუძნებელ კრებამდის სა

— არა, ეს არ არის Conditio sine qua non.

— როგორ უყურებენ გერმანეთის უმაღლესი სფერები რუსეთში მოხდარ ამბებს? ხომ არ გეშინიათ, იმის, რომ სულ ადვილად შეიძლება ბოლშევიკების ტალღა თქვენ ნაპირებსაც მოეხეთქოს და მყუდროება დაგირღვიოთ, რადგანაც თქვენში ბევრია უკმაყოფილო?

ამაზედ გრ. კაიზერლინგმა დაცინვით უპასუხა.

— რად ჰფიქრობთ, რომ უსათუოდ ჯერ ჩვენში გადმოვა და არა ინგლისში და საფრანგეთში? რა ცოტა იციან გერმანელებზე რუსეთში!

მაგრამ, ვგონებ დამეთანხმებით, რომ გერმანეთი არის ჩვენი ახლო მეზობელი და რომ ხალხის მღელვარებამ შეიძლება მაზედაც იქონიოს გავლენა. რასაკვირველია, ამასთანავე თქვენ არ უარჰყოფთ იმ მღელვარებას, რომელსაც ადგილი ჰქონია თქვენს ფლოტში.

—მართალია, ეს მოხდა ზოგიერთ გემებზედ; მაგრამ ამბოხების ცეცხლი დროზედ ჩავაქრეთ და დამნაშავენიც შესაფერად დაისაჯნენ. საერთოდ ამაო თქვენი აზრები გერმანეთზე. ჩვენში ყველაფერი რიგზეა დაყენებული. ჩვენ ვსარგებლობთ კონსტიტუციო

გაზეთ „საქართველო“-ზე ხელის მოწერის პირობები 1918 წლისათვის.

გაზეთის გამოსაცემი ხარჯები თანდათან იზრდება. ამის გამო ჩვენ იძულებულნი გავხდით 1918 წლისათვის დაგვეწესებინა შემდეგი ფასები: ერთი წლით 50 მანეთი, ნახევარ წლით 27 მანეთი, სამი თვით 13 მანეთი და 50 კაპეიკი; ორი თვით 4 მანეთი 50 კაპ. ცალკე ნომერი კი პირველ იანვრიდან ეღირება 20 კაპეიკი. თანამგრძნობთ ვთხოვთ დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, ვინაიდან გაზეთის გაგზავნის საქმის მოსაწესრიგებლად საჭიროა, რომ ფული კანტორამ დროზე მიიღოს.

შემთხვე-
ულება შეჰ-
ინგლისს და
ყველა მწიფოს—შე-
ერთე
— გაფიქრიანებთ,
შედეგ არქიისა და ბან-
კების რეწველთ და-
წესებ ის კონფისკა-
ცია.
— ჩვენ სრულიად და-
მშვიდ შეჰნიშნა წყნა-
რად ჩვენი ფული
არ ლ თის „მთავრო-
ბაც“ შეგვეთანხმდე-
ბა ა

ფრონტი და
კენ მოლიან
ლისგან თ
ცილებულ

ვიდენ: პოლკოვნიკი სოკოლცევი, ალმ. კომ. წევრი მალხაზოვი; ლიაკიშევი, მარტინოვი და მომქმედ ჯარის კომისარი შოსტაკი.

ეს ორგანოები უკვე შეუდგენ თავიანთი მოქმედების შესრულებას და ჯარის კაცებიც ნელობით უცურებენ.

უკანასკნელი დეპეშები

ტუვე გერმანელების სიტყვით, გერმანელები იმისთვის მზადებას განაგრძობენ. მათ გამოუგონიათ ახალი მძიმე ზარბაზნები, რომელნიც 35 ვერსის მანძილზე ისვრიან. ამას გარდა გამოუგონიათ ყუმბარების აზიდავი დიდი აეროპლანები.

—

საბოლოოდ გამოირკვა, რომ დამფუძნებელი კრება იანვრის ხუთს შეიკრიბება. ბოლშევიკებმა იანვრის 8-თვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოების ყრილობა მოიწვიეს, გლეხთა დეპუტატების ყრილობა კი იანვრის 15-სთვის დანიშნეს. ამის გამო ჩერნოვი აღელვებით გლეხთა კომიტეტებს დეპეშით მოუწოდებს, უეჭველად იანვრის 5-სთვის გამოგზავნონ წარმომადგენელნი დამფუძნებელ კრების დასაცავად. დეპეშაში ნათქვამია, ბოლშევიკებმა იციან, რომ გლეხები დამფუძნებელ კრების მომხრენი არიან, ამიტომაც დანიშნეს გლეხთა ყრილობა მოგვიანებით; რევოლუციას საფრთხე მოელის და დამფუძნებელი კრება უნდა დავიცვათო.

ქრონიკა

თბილისი.

◆ ერობათა კავშირის რეორგანიზაცია. გადაწყვეტილია ერობათა კავშირის რეორგანიზაცია ამიერ-კავკასიის განყოფილებაში. ამ საქმის შესრულება მინდობილი აქვს საგანგებო კომისიას.

◆ ქ. ჩხეიძე დამფუძნებელ კრების წევრად სამხრეთ-დასავლეთის ფრონტმა აირჩია.

◆ საღამო-კაბარე. ერ.-დემოკრატიულ პარტიის თბილისის კომიტეტმა ქრისტეშობის 28 საღამო-კაბარე გამართა „ქართულ კლუბში“. საღამომ დიდძალი ხალხი მიიზიდა. მონაწილეობას ღებულობდენ ვ. სარაჯიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე და კომპოზიტორი ბალანჩივაძე.

მხიარული კაბარე ვახშამით დამთავრდა. თამადად არჩეულ იქმნა შალვა ქარუმიძე.

შემოსავალი 15 ათას მანეთს აღემატება.

სასურსათო საქმეები

◆ უპურობა. ქრისტეშობისთვის 29 ს სასურსათო გამგეობას არავითარი სურსათი არ მოსვლია. ქალაქს მხოლოდ 9 ვაგონი ქერი მოეპოვება. ქალაქის მოურავი მოუწოდებს ქალაქის მცხოვრებთ, რომ გასაჭირი გადაიტანონ.

ლად ყოდამ.
დაუყოვნებლივ გა
ური და მაქეთ.
მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია.

ახალქალაქში

ალ. ხატისოვი ამიერ კავკასიის კომისარიატს გუმბრიდან დეპეშით ატყო-

აზრუმში

აზრუმიდან რუსის ჯარი უკან მოდის. სომეხ-მცხოვრებლების ნაწილმა გადასწყვიტა ქალაქში წესიერების დასაცავად მოხალისეთა რაზმის შედგენა. ამ ამბავმა მაჰმადიანთა ნაწილში განხეთქილება გამოიწვია. საქმის გამოსარკვევად ქრისტეშობისთვის 23-ს მოხდა შეერთებული კრება სომეხ-მაჰმადიანებისა. თავმჯდომარეობდა ქალაქის კომისარი ოდიშელიძე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ სომეხთა და მაჰმადიანთა შორის არავითარ უთანხმოებას ადგილი არა ჰქონია.

სომხების და მაჰმადიანების წარმომადგენლები ყველა საკითხზე შეთანხმდნენ.

ანარქია ჩრდილო-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის კომისარიატს ცნობა მოუვიდა: გუდერმესში გაცხარებული ბრძოლაა. სადგურის ერთი ნაწილი გადამწვარია; მოსამსახურენი გაიქცნენ. რკინის გზის მოძრაობა სავსებით შეჩერებულია. სადგურ ჩერვლენაიაში მდგომარეობა საშინელია, გთხოვთ, გამოგზავნოთ გუდერმესში საზამთროდ არა ნაკლებ ერთი პოლკისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯავშნიანი მატარებლები მივატოვებენ და წავლენ.

ფოსტის გაძარცვა სარიყამიშში

ამიერ-კავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებენ: ქრისტეშობისთვის 23-ს, ღამით, გაძარცვეს სამხედრო საველე ფოსტა სარიყამიშში. გატაცებულია 2 ნახევარი მილიონი მანეთი. ეჭვით დატუსაღებულია ფოსტალიონი თოთლაძე. ამ ჟამად ფოსტის მიმოსვლა შეჩერებულია.

მ ც ი ნ ა რ ე

ის...

რომ იცინის ის ღმერთი დიდი ხანია მინდოდა მენახა.

როგორ? „კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინის“?

რა ვაგლახი ვინმე ყოფილა! რა უგულო, რა გულქვა!

მაშ სად არის ღმერთი სამართლიანი, ღმერთი სათნო, შემბრალე შემწყნარებელი?

მე აქ ვიტანჯები, ვწრტიალ
ვწრთები კაცი.

ის კი იქ იცინის?

ჰო, იმას რა უშავს: არ შიან
არ სწყურია, არ სცივა და არა სცხ
ლა. საყვარელი არ უღალატებს
მეგობრობას დარღვეულს ვერ განიც
დის. არც ანარქია ფრჩხილებით შე
წუხებს და არც დესპოტიზმი უფრჩხი
ლებით.

უწვის ხიდ-
ყურეში და შეიძლე-
ბა გზნოთ ესეთ გზას... შეიძლება
გადაიღუპოთ უფსკრულში, რომ
მისკენ სულ გზა გქონდეთ არეული...

მეკი ვნახე.

ვნანობ:

დიდი უბედური ყოფილა.

არ ინდომებდა ღმერთობას მისი მნახველი.

იცინის კი მიუხედავათ უბედურობისა.

და აი მაშინ არის ქვეყნათ რომ

ლო გაეცინა.

კვლავ მოღუშ:—დიდი უბედური ვარო!

შეცვლმერთე. მაშ ღმერთს სხვას რას ვაჩრებდი:—მასწავენ მე სიმართლენი შენი—

მიამბო ეპიურად.

და იყო დღე ნათელი, ტკბილი, გადაბმული წარსულისა და აწმყოსი.

— ჩემი უბედურება? ის რომ არა ვიცი რა. რომელი რათ ხდება? როდის გიდგებათ თქვენ მზიანი დღე, როდის არის ქარიშხალი. ვხედავ რომ წრტიალებთ, და გული მეწყლდება თქვენის უბედურობით. მინდა დაგეხმაროთ. ვინ მოსთვლის საიკუნოებს! გული დამძიმდა, გული შეკუმშდა თქვენის ქირ-ვაებით. დავიღალე, დავიქანცე. სიკვდილიც მენატრება. მაგრამ მე ხომ არ მოვკვდები, ვერ მოვკვდები, ოო, დიდი უბედური ვარ! ჩემდა პირათ ხართ გამოჩენილნი ჩემდა პირათ... აბა რა გიყოთ?!

ეტყობოდა სული ატუზვირთდა და თავს თვალ-მომჭრელი, რამოდენიმე მზისაგან შემდგარი ზეჩი დაიხურა.

და იყო გრიალი და იყო ჭექა მსგავსი მეორეთ მოსვლისა.

რომ ყოველივე დაიშვიდდა და კვლავ მომღიმარი ვნახე, კვლავ შევკადრე:

— მეორეთ როდის მობრძანდები მეთქი?

— განა პირველათ როდის ვიყავით!

—ღმერთულათ შემომიბღვირა:

სადღაც ქვევით ჩაიქცა რომელიღაც ქვეყანა.

მყის გადიხედა და სიბრალულისაგან ცრემლები ჩამოღვარა:

მეორე მხარე წალეკა ნიაღვარმა.

მის შეშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა, სანამ კვლავ არ გაიცინა და დედა მიწას მაცოცხლებელი შუქი არ მოეფინა.

მე ესეთი ვნახე ის ღმერთი, რომელიც იცინის.

გვეგე რომ სრულიადაც არ დაგვცინის. დაგვცინის კი არა იტანჯება ჩვენის ტანჯვით, იწვის ჩვენი საცოდაობით, ამაზე რიხდება და...

ჩვენ ყურესი მოგვდის.

ვნანობ? რომ ვნახე.

რადგან ვნახე ძალთა ძალი შეუვრძნო, ყოვლის შემძლე, მაგრამ უძლური.

და მ ნი მ
არა, ღმერთო, იცინე შ
რის მკერდით, შენის გამ
ლის ფილტვებით და შქეთ
მე ესეთი ვნახე ღმერთი.
მოდით. სცადეთ.
შეიძლება მე სხვა დროს სხვა მხრით.
შეიძლება

რული
იმ ბნე
რული
ჩუს თვ
მეში, რ
ნი ლურ
ლიც დ
გახსო
იმ ბნელ
თმანს დ
წყდა ლურჯ ხელთათ
რანით და ლურჯი ცრემლი და
რა ცისფერ სარკეზე? ოჰ, იმ ბნ

სიზრე, ლურჯობს ლურჯ ნისლს
ზინი ლურჯი ქვილი, ლურჯობს ლ
ახჩოლავ მკვარის სენით ლურჯ ზღვ
ღამონი, და ლურჯი კადით, ნაკა
ბით ნერგის ფუღოში შმაგი ძაგ
გულს იღლამს ლურჯი თითებით
თა ტკრიას ლურჯ სახეზე და
პული და მეტაფორის სამ
ლურჯ გრიმის მზერა.
იმ ბნელ ღამეში, გახსოვს ლ
თვალის ქოუთოვ, ქალო ბა
ლურჯ თვალის, ლურჯი სიზმ
იმ ბნელ ღამეში ლურჯ
ბის ხარნარ ტბის გულზე ვით გ
ცურდა ლურჯი გედიღურ ჯით
ბით? რა რიგ ლურჯობდა ვნებ
შუქურ ვარსკვლავე, ვითარ სი
ჯით ატმებდა რეული ფიქრნი
ლურჯი გედი ლურჯ თითებით
ბის ტაზე ლურჯ მეფინავ ფ
ბით დასცურავდა კვიპაროსთა
იქვე ლურჯ ნისლში ერწყოდა
ჯი ზამბახი და ერთობოდა
ბზრიან ლურჯი გედისა, ლურ
პაროსთან რომ სცურავდა ლ
მაყით, ლურჯ სიდუმლოს
ბის იმ ბნელ ღამეში!
იმ გედას გულში, ლურ
ლურჯი ასული, ლ
ლურჯ თვალის, იმ გედ
დროს ჰკვნესოდა
მგოსნ
სწორ
ზამბახ
გულსა
ჯ პო
ოქრის გულიც ლ
მობდა ლურჯი სარ
გადამლას, ლურჯმა წ
ფებით გადაიარა და გადას
ზამბახის ცისფერი ყელი,
ვნების ლურჯი მიღი ლურჯ
ვანის, იმ ბნელ ღამეში გად
ლურჯ ფერა წვრომ.
საუკუნეთა ლურჯი
რიან ცისფერ მარადის
ნისლში, მოლურჯო
წვერზე მოგიზგიზებს
ნავინ, ჰკივის ვენდა
რით და აქ მართოლ ვსე
მემის ლურჯი ძახილი: „ლურ
ძეო, სანუკვარო ჩანჩურა

სახელმ[illegible]
ეროვნული [illegible] ბიბლიოთეკა

შეგავედრებ ლურჯ თხა ფეხა დამთვრალ ცისფერს ღმერთს, რომ ვიდრე ცისფერ განთიადის გაშლილ ნაწნავზე თავს დაახრიდე, ვით უცნობი ლურჯი მგოსანი მყრალ ცისფერ საბძლის ლურჯ ღარკაზე, გვედრი, რომ ერთხელ ცისფერ ჯიხვის რქით გამო[illegible] შესანდობარი შენი ცისფერი [illegible]ტონის ლურჯი სულობის“.

[illegible] ლურჯ კივილსა მეც ვისმენდი [illegible] გულის ძგერით, ლურჯ გულის [illegible] მე ვისმინი ამ ლურჯ კივი[illegible] [illegible] ლურჯ თხა [illegible] ლურჯმა [illegible]

[illegible] კალმით ფიქრმორეულ [illegible]სის ცეკვით სწერს ამ ნო[illegible] მგოსანთა ძმა მეგობარი [illegible]კანი, ხოლო მოკვლავთა [illegible]ოში ასე ცნობილი:

დავით კასრაძე

[illegible]ეციერ ასულს

(სულის ამონაკვნესი)

„Liberté, liberté chérie,
sois avec nous combateur!“

[illegible]ათასი წლობით კვნესდნენ უამრავლენი მონის ბორკილებით ბნელ[illegible] ცივს დილეგში მშიერ-მწყურვალნი, გვემულნი მათრახით და ფეხქვეშ თელილნი. მათი ტანჯული სული ელოდა მხსნელს, ზეციურს ასულს... ჯალათნი კი იშვებდნენ და ლოთობდნენ...

— განვლო წამების საუკუნოებმა; დარეკა ნეტარმა ჟამმა და აჰა, მოევლინა იგი ადამიანთა ხროვას თეთრი სამოსით, მღიმარე სახით, პრიალა ჩირაღით ხელში, მშვენიერი ვით მაისის დილა, ნაზი ვით სუმბული და უმანკო ვით ბავშვის სიზმარი...

დაემხვენ ძირს მისი მოვლინებით ქვეყნის ჯალათნი; სდუმდენ ჯაშუშნი; გაქრა [illegible]; დამყარდა სითბო და სხივთა ციალი. აბიბინდნენ მთები და მდელონი, აიგზნო ზენაარი ამულით [illegible]ადამიანის მწუხარე სული. ნაცვლად [illegible]ანისისა ხალხის გულს აღმოხდა ტკბილი ზევსური და ქებათა ქება...

დაიმსხვრენ კირთნი მონობისანი; [illegible]აინგრენ ბნელი საპყრობილენი. გუშინდელმა უმწეო მონებმა ლაღათ გაშალეს ფრთები, ააფრიალეს წითელი დროშა და სასოებით ეამბორნენ ზეციურ ასულის სპეტაკ მარჯვენას. და იგი, ის ტურფა ქალწული ფუნთუშა ღრუბელი ამბიონიდან ციმციმა სახით დანათებდა ბედნიერს, თავისუფალ ხალხთა გროვას.

აჩქეფდა ყოველი მხრიდან მაღალი გრძნობა, უშრეტი სიხარული და ნეტარება. ფირუზა ცაზე შეიღებ[illegible] ცისარტყელად გამოისახნენ: ძმობა, ერთობა და სიყვარული... გაჰქრენ თითქო სამუდამოთ ქვენა ვნებანი; დამყარდა ქვეყნათ სასუფეველი.

— ოჰ, რა ტკბილი იყო ის ნეტარი წუთები! რა ლაღი, რა ბედნიერი იყო იმ დროს ადამიანი!.. ეს იყო ზეცის ეთეროვან ასულის ადამიანის სულთან საზეიმო ქორწინება, მათი სურნელოვანი გაზაფხული, მათი სამო თაფლობის[illegible]...

— ხანმოკლე იყო [illegible]

[illegible] დიადი ბედნიერება, ეს ქვეყნათ ფინილი სათნოება ბოლო ედემი. შეშურდათ ბნელ ძალებს ადამიანის უსაზღვრო ნეტარება და აჰა, აამოძრავეს გესლიანი ენა, თვალთმაქცობა, სიცრუე და ორპირობა, სატანური სამერველით გაადევნეს უმეცარ ხალხს სულში მიძინებული ველური ბრძვანი, ველური ალღო და ქვენა ვნებანი. ხალხის ერთგულ ბელადებს სხვა და სხვა ოინბაზობით გვერდით ამოუდგნენ აქა-იქ მინძური არსებანი, უმეცარნი, ქურდნი და ავაზაკნი, ხელთ იგდეს ხალხის მართვა-გამგეობა და იწყეს ოსტატურად ცარცვა და გლეჯა, ამ რიგათ გაუთხარეს ძირი ხალხის კეთილდღეობას.—გაჰქრა თანხმობა და მიზან წყობილი მუშაობა. დაირღვა ყველგან წესი და მოვალეობის შეგნება. დაეცა უზენაეს იდეალთა რწმენა და იმედები. გაიხზარა მებრძოლთა სპეტაკი სული ჩაინთქნენ სადღაც სურსათი. აღიმართა ქვეყნათ შიმშილის შემზარავი ლანდი...

გაითიშნენ ხალხნი და ერები; დაივიწყეს მაღალი ფიცი ძმობა-ერთობაზე. დაირაზმენ მოქიშპე ჯგუფებათ. დაუწყეს ერთმანეთს ძლევრა, ქირდვა, მუქარა, ბოლოს იძრეს მახვილიც-კი... და აჰა, დაეტაკა ძმა-ძმას, მამა-შვილს, მეგობარი-მეგობარს! ავარდა ცეცხლის ალი სოფლად და ქალაქად. შეიღება წითლათ ძმათა სისხლით ველი და მინდორი... ყველას სწადდა ხელთ ეგდო უფლება და ბატონობა. უმწეო, უმეცარი ხალხი კი გარდაიქცა მათ საბურთაოთ და სარბენ ასპარეზათ...

იმატა ალმა: [illegible] მახვილი მოედო თითქო მთელ ქვეყანას, უპირებდა მას ჩანთქმას და განადგურებას... ღვინის, სპირტის და სისხლის უშრეტმა წყურვილმა შეიპყრო ხალხნი. მათ დაკარგეს ადამიანის სახე. იფეთქა ქვეყანად ნგრევის სტიქიამ... არყით და სისხლით გალეშილი ბრბო დაგორდა უძირო ხრამში გადასაჩეხად.

—დიდი ხანია გაჰქრა საზეიმო ჰანგი და ტკბილი გალობა, გაჰქრა ციური სიმფონია. მათ ნაცვლად აქვითინდა საშინელი კვნესა, გოდება და მწარე ცრემლები. მხეცად იქცა ადამიანი. მან დაფხრიწა ტლანქი ხელებით წითელი დროშა და ფეხქვეშ გათელა უზენაესი ბედნიერება. ზნეობამ უმეცრებამ დათრგუნა ცოდნა და მეცნიერება, ბოროტებამ კი მოჰკლა მაღალი რწმენა, სინდისი და პატიოსნება. გაჰქრა ქვეყნათ სანეტარო სასუფეველი, ნაცვლად დამყარდა ალი, კვერპი და ჯოჯოხეთი...

ნადირად ქცეულმა ადამიანმა ძირს [illegible] დაამხო ციური ასულის [illegible] ონი [illegible] ალქატა ამბი[illegible] [illegible] თავის მურდალი ხელით დაჰკლა თვით ეს შვენიერი სატრფო ხალხის სულისა, ფეხქვეშ გაჯეკნა მისი ჰაეროვანი ნაკვთი, მტვერათ აქცია მისი არსება...

გამოძვრენ სოროებიდან ბნელი ძალები, იხილეს ბრბოს შემზარავი ნამოქმედარი და იწყეს გესლიანი ხარხარი... აჰა, გაისმა ხმა უცნაური, ხმა საზარელი, ხმა საშინელი!.. კვლავ იჭედება ხალხთ ბორკილები, კვალად იწნება მათრახი მათთვის, კვალად მზადდება საპყრობილენი. ამ დროს-კი ალვირწახსნილი ბრბო ღმუის მახვილით ხელში, ღმუის არყით და სისხლით მთლად გალეშილი. და ბრბოს წინაშე ფერხულს უვლის სიკვდილის ლანდი; ცეკვავს, ტრიალებს უცნაურად, წითლად იცინის... ბრბო კი კვლავ ღმუის, თქრიალებს სისხლი. კვლავ ისმის კვნესა, ტანჯვა, გოდება... მაღალი სამყარო იმოსვის ჯანყით... ბნელდება ირგვლივ. . . . . .

. . . . . .

სვ. ქვარიანი

საახალწლო მილოცვა

ჟამთა სრბოლამ კიდევ ერთი საფეხური გადაინაცვლა ადამიანთა მიერ მის აღსარიცხველად გამოთლილ კიბეზედ, კვლავ ერთმა შავ-ბნელმა წელიწადმა განვლო ქართველთა უბედურ ცხოვრების ისტორიისამ და დღეს ახალ წელიწადს შევხვდებით არა ტკბილეულობის ხონჩით, რომელზედაც გოზინაყი, მურაბა, ჩურჩხელა და სხვა ამგვარი პირისა და ყელის ჩასაგემრიელებელი ნუგბარი აწყვია; არა, ამ ხონჩას ამშვენიებს [illegible] საუკუნის განმავლობაში ის ფერფლს ქვეშ გაუმქრალად შენახული იმედი და სასოება, რომ თოვლით დაბურულს, ყინვით შებორკილს ზამთარს განთავისუფლების მზე გაალხობს და გაადნობს, სიცივეს სითბო შესცვლის, ზამთრის სუსხს გაზაფხულის ბრწყინვალე და ცხოველ მზის შუქი გაჰფანტავს, ტყე ფოთოლს მოისხამს, მდელო და მთები აყვავილდება და მასთან აყვავილდება და გაიფურჩქნება მამულიც საყვარელი.

აქამდისაც გვიწამდა, და ამ მრწამსით გვიდგა პირში სული,—ჩვენის პოეტ-წინასწარმეტყველის სანუგეშო სიტყვები:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევ გაიღვიძებს!“ ო.

ეხლა კი ეს მრწამსი განხორციელებას ჰლამის და ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მა[illegible], ვინც მკვდრად ჰყავ[illegible] [illegible] თვალთ მიჩნეული, მხოლოდ ეძინა, ეძინა არა სამარადისო ძილით, არამედ ძალღონის შესაკრებად, ეძინა განთიადის მოლოდინში და აწ გაღვიძებისა და გამოფხიზლების ნიშნად უკვე მოძრაობისა და სიცოცხლის უხარის იჩენს, ფეხზედ წამოდგომასა და წელში გამაგრებასა ჰლამობს.

ბაზალეთის ტბას თავისუფლების ნიავ-ქარმა დაჰბერა და მისი აქამდე უძრავი, შეტბორებული ზედაპირი აამოძრავა, აჩქროლა, ხავსი აჰყარა და [illegible]ეულის ჭეშმარიტ ქართველის გულ[illegible] იმის მოლოდინების შუქ-მფენი იმედი და სასოება გამოჰკვანძა, ვისაც, დიდებულის მამულიშვილის ილიას თქმისა არ იყოს:

„ვინაც არ იქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩემის ნატვრითა ქართველი!..“

აი, ეს იმედი და სასოება ამშვენებს, მკითხველო, ჩემს საახალწლო, სამკვლეო ხონჩას, ამ იმედითა და სასოებით გილოცავ დღევანდელს დღეს და ვისურვებ, რომ ეს შენი და ჩემი ჩემი ნატვრა ცხად სინამდვილედ გადაქცეულიყოს!..

ჩიორა.

მძლეთა მძლეც დამარცხდა...

ისტორიული ლეგენდა

ეს ამბავი მოხდა ინდოეთის საზღვრებზე.

ალექსანდრე მაკედონელმა ის იყო დაიპყრო მთელი მცირე აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე და ეხლა გამძვინვარებული ინდოეთისაკენ გაე[illegible].

ამ ზღაპრული ქვეყნის დაპყრობა ბავშვობიდანვე მის ნატვრას შეადგენდა. ცხადია, რას ნიშნავს ისეთი ბუმბერაზ ნების ყოფის ადამიანის გულში ჩამარხული ნატვრა, როგორიც იყო ალექსანდრე მაკედონელი.

მთელ თავის ჯარებს მოუყარა თავი და გაილაშქრა.

უკვე გადაიარა რამდენიმე ბრძოლა ინდოეთის მოსაზღვრე ველურ ხალხებთან და [illegible] შედგა საზღვრის მეორე ღელისთვის.

ბინდი მოახლოვებული იყო, როცა მეფეთა მბრძანებელმა განკარგულება გასცა ჯარის დასაბანაკებლად.

თვითონ კი თავის ამალით გავიდა ლაშქრის წრიდან, რომ შესაფერი ადგილ-მიდამო აერჩია თავის კარავისთვის.

მეფის კარავს მეფური ადგილი შეჰფეროდა და ალექსანდრემ მეფური გემოვნებაც გამოიჩინა.

— აი, აქ დასდგით კარავი და პირი აღმოსავლეთისაკენ უყავით.

თოვლის მუზარადიანი მთა სრულიად გაძარცვული იდგა და ამაყად გაჰყურებდა შორეულ ყარაყორუმის დიდ ქედს. მის დაბლა კი [illegible] ტაფა იყო გადაშლილი. რამდენადაც ცივი და მწირი იყო თვით მთა, იმდენად უხვი და მზიური იყო სილამაზე და სიკეკლუცე ტაფისა.

ზედ მთის ძირთან იყო კოხტად წამოსხლეტილი ბორცვი, რომელიც ნაირნაირ ვარდ-ყვავილებით იყო მოქარგული.

სწორედ ამ ბორცვის [illegible] ფერდოზე აღმართეს მეფის კარავი. კარვის შესავალთან [illegible] ხი [illegible] დაპყრობილ ერების მეთაური წინამძღვარნი...

ქვეყნის მპყრობელი განცხრომას მიეცა. ძვირფას ხალიჩებზე [illegible] ლიდების ზანზალში იყო წასული...

ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო, და ცას მუქი სილურჯე გადაჰკროდა; ისე რომ კარავში ჯერ კიდევ [illegible] ნები.

ყმა-მეფე გამოერკვა, თავი დამძიმებოდა დაღლილს. მოისურვა გართობა, ნიავზე გავლა და წამოდგა.

ჩამოდგა თუ არა სარეცლიდან ფეხი, ქვეშ რაღაც სისველე იგრძნო.

მეფური თავმოყვარეობა შელახული იყო. კარავის პალატების ჩაქროლის დროს ბორცვის ძირში ჩამალულ წყაროს ქვები დაეწყო და ხელ-ხელ მთელ კარავს ძირს დებოდა.

მეფე შეწუხდა. სხვას მორჩილებას ჩვეული, ვერ ურიგდებოდა ბუნების უჩირობას. დაუძახა მოხელებს და უბრძანა წყლის შეწყვეტა.

დაჰკრეს თუ არა მოხელეებმა ბარი იმ ადგილს, საიდანაც წყალი ეხინა თავი, წყარომ გზა ნახა და უფრო ძლიერად დაიწყო დენა. რამდენიმე მისი დაოკება, მაგრამ, რაკი ადგილი კარავის შესავლისაკენ იყო დაშვებული ნაკადით წამოსკდა კარავისაკენ და მალე წყლით გაავსო იგი.

ფშაური ლ[illegible]

თხოვნა ახალ მთ[illegible]

ახალ მთავრობავ, გვიშველ[illegible]
ცოტათ მოგვიწყე ხელია,
გვწამს თქვენი ნაქადაგარი,
თან ხელიც მოგვიწერია.
გვიბოძეთ ახალ თოფები
აღარ ივარგებს ძველია,
მოგვმადლეთ თქვენი წყალობა,
თორემ აღელდა მტერია.
მუქარას იბარებიან,
სისხლი აქვთ ასაღებია,
უჭირავთ ვინტოვკებია,
თან ხალხიც ჩვენზედ მეტია,
თოფიანს როგორ შავებნათ
მარტო ხმლითა და ფარითა?
ჩვენ გვინდა ჩვენ მტერს და[illegible]
არ შევარცხვინოთ მამაპაპითა,
არ მოვარწყუოთ ჩვენი ადგილი
ჩვენის სისხლით და ძვალითა.
ახალ მთავრობავ, გვიშველე,
ნუ გაგვხდი მტრისა ლხენათა,
ჩვენცა გვიბოძეთ აბჯარი,
სამოთად, მოუნათლელადა,
ჩვენც გავალთ ბრძოლი[illegible] ველზე
[illegible] დასაცველადა,
თორემ ძალიან უჯულო,
სამშობლოს წასახდენათა,
ქვაც მაქვს მოგონებული
[illegible] ჩას [illegible],
მაგრამ ვერ ვქმ [illegible]
რომ [illegible] ძალიანა,
თუ [illegible] ჯავრის [illegible]
[illegible] შესაჩეგვითა,
ქვაც ძმ[illegible] იქნება
ხუთასი ათასი ფ[illegible]:

ფშავი დავით
ფუნჩა მათურელი.

მინუმა ვერა გააწყეს რა.

გამძვინვარებული ალექსანდრე [illegible] დოიელი დაჰკრილ ლომსავით გამო[illegible] და [illegible] და შესძახა მოხელეს:

— ზღვასა უფლება თავებს [illegible] ჰრით, თუ არ შეაყენებთ წყ[illegible]

მეფის საყვარე წყალში [illegible] დენა უფრო ძლიერდებოდა.

— ბრძანებულო!—სუსტად [illegible] სა ერთმა [illegible]ირით [illegible] ბრძნმა [illegible] მოხუცმა.—მე [illegible] სამშვილდიას.

ქვეყნის მპყრობელმა ის[illegible] ლით შეხედა მოხუცს, თითქ[illegible] მოუცლის ხანსაო.

— უცხო მპყრობელო! წყ[illegible] ნება წაგვაქვს სამშობლოსადმ[illegible] რულს, ხალხის გულში რომ [illegible] ლია. მას სძინავს ღრმად ა[illegible]

სურნელოვანი სარკე

კვლავ სარკისადმი ჩემი ტრფობა განუკურნელი,
ისევ და ისევ ვეოცნებე სარკის დაისებს,
იმის სიღრმიდან საიდუმლო მესმის სურნელი,
—იქნება ბროლის სერაბიმი ჩემ სულს დაეძებს!

როცა თვალები ივიწყებენ ცის შუშაბანდებს,
შეღამების დროს დაფერფლილი სარკე ჯადოსნობს,
მის ბინდში გხვდავ თავის მკვლელთა წამებულ ლანდებს,
და ჩემი სული სურნელოვან მორევში მგოსნობს.

ახლა სარკეა მტრედისფერი, სხვა არამხანა,
გიჟურ ვნებისთვის სადაც ლედა ზრდის ყმაწვილ გედებს,
და სურნელება—მარადების ბრმა ამხანაგი—
გრძნეულ ქალაქთა სანახავად ფიქრს ამოქმედებს.

და ასეც ხდება: დღის სარკეში ქარი მძვინვარებს,
და მაინც მესმის ფრთაგაშლილი სუნოვანება:
მე ისევ ვეტრფი ორეულთა სასტიკ მყინვარებს,
რომ აჩრდილების მოვისმინო თეთრი ბრძანება!

ვალერიან გაფრინდაშვილი

სონეტი

მე ვკითხავ ვინმე: „ჩემ სონეტებს რად არ აფასებ?“
მერე უეცრად: „თამარ მეფე-ჩემი დობილი“!
[illegible]თხოვ საწყალივით შესვლას ჩემი შესანდობელი,
და თავს დავიღრჩობ სამიკიტნოს მყრალ ფარაბაზე.

თუ იმ დღეებში ლხინს გამართავს სადმე ფარბაზი,
ჩემზე საუბარს გზა ექნება ის, დათმობილი..
ვახშამი... ყავა.. მადლობა და ავტომობილი,
მშიერი ფიქრი სახვალიოდ დროს ტარებაზე.

მაგრამ მე დავსწვავ სურნელოვან ლექსთა თაბახებს,
რომ არ დაარსდეს გაზეთებში ძეგლისთვის ფონდი!
და მთქნარების დროს ნურავინ ნუ დაიტრაბახებს,

რომ მე მიყვარდა და შემთხვევით კვლავ მოვაგონდი.
მე მაგინებდენ, მაგრამ ვიცი ქებაც ბევრს სურდა
და უკაცრავად თუ თან წამყვა სათქვენო ხურდა.

პაოლო იაშვილი.

მელანქოლია

ხანდახან ქარის რუხი ძახილი.
ზევით რაზუნი ნატეხი ყვავის.
უფერო ფიქრი ჰ[illegible]ლი მ[illegible]ახველი.
ხუნარე დილას სიმლაშე კავის.
სახე ოქილი პარგაუპარსი.
უშნო აბურძგვა შეთეთრილი თმისა.
ყოველის მკილავი ზრახვა უხამსი.
შავი ნიშანი კვიმატი დღისა.
ქანგ-მოდებული გულის სარკენე.
უნდო ორჭოფი ღიმილი მკვდარი.
ირგვლივ ხახზარი მრუდე სარკენი.
შიგ ჩაცანება ვითომდა მტკბარი.
მოდუნებული ნდომა უნიჭო.
უგვანო გრძნობის ამწვარი ლვენთი.
ნაშალი ლექსის დრეკა უროთმო.
შორიდან ხრიალა სახელის „ღმერთი“.
მზეთვალა მაღვრით გვერდით მოიარს.
თვალში თვალგაყრა მნათი მარხვი.
ალუსლი ლტოლვა სურვილ-ნახევი.
და... წყევლა წყევლა სასტიკ მოირას.

გრიგოლ რობაქიძე.

ბალაგანის მეფე

... და ვიცი მე სიდან მოვედი,
რომელი ქვეყნის ცხელი მზე მწვავდა:
მე დიდი მყავდა წინამორბედი—
წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა.
როცა ვერ ვმღერი, როგორც მე მინდა,
თანამედროვეთ კი არ ვედრები,—
მე ძველი მახსოვს ლოთქმები წმინდა
და დავიწყებულ ღმერთის ვევედრები.
ვარსკვლავეთ ჟონგლერის პოეტის, მაგის,
ვიგონებ ქებას მაღალ შორეულს,—
როს რესტორანში გამოლეშებულს
მეძავი მაჩვენებს გადამხმარ ნარგიზს,
ჰკივის ორკესტრი ხმა ჩახლეჩილი,
ზარხოში ზანგი ბარბაცებს, ცეკვავს,—
მეც შერცხვენილი, ჩამოგლეჯილი,
მივდივარ, როცა მსახური რეკავს.
და ბალაგანის მოვკვდები მეფეთ,
რადაც მეფური იყო ჩემ სულში.
დაგვიანებულ ხმათ შემიერთეთ
თქვენ, ვინც მღეროდით ღმერთზე წარსულში.

ტიტე ტაბიძე.

შავკაბიანი

შენი თვალი შიმშილისგან მგელია,
შენი ტუჩი კოცნის წყაროთ სველია,
შენი ძუძუ მომავალით სქელია,
შენი ხელი ვნების ორი გველია..

მაგრამ როცა მზე აკოცებს მყინვარსა,
შენ ჩააქრობ მაშინ სულის ლამპარსა,
ლამპარი გულით ვერ აღერებ ზღაპარსა,
და აბარებ მარტო „სახელ და გვარსა“..

ცივი სიტყვით არ გაათბობ სხვის გულსა,
ვიწრო თვალით არ ეძახი რჩეულსა,
თეთრი ტუჩით არ ახარებ მოსულსა,
ხის ხელებით არ ეალერებ ჩონგურსა..

როცა ღამე გადმოფანტავს ვარსკვლავსა,
მთვარე ნახავს თავის ჭუჭყიან კვალსა,
თვითონ ღმერთი დაემჯობინება კლავსა,
და დაიდგამს ღრუბლივით თეთრ ფლავსა,—
შენი თვალნი მაშინ ორი მგელია,
შენი ტუჩი კოცნის წყაროთ სველია,
შენი ძუძუ მომავალით სქელია,
შენი ხელი ჩემთვის ვნების გველია..

სანდრო ცაჰ[illegible]

ფოსტალიონი

სადამო. დილა. ფოსტალიონი;
მე ვილი მარათს ნაცნობი ხელით;
ჩემს წინ დევს შენი მედალიონი
და თავს ვიღარდებ ძვირფას სახელით.
ათას წერილში მე ვეძებ ნაცნობს
და მხოლოთ ვხვდები უსურველ მარათს,
(ეჰ, სიყვარული ვის არ დაადნობს,
საწყალსაც გახდის ხომ ამირბარათ!)
მეზობლათ ქალი უკრავს მასენეს
და ხშირათ მიწვევს სასმენათ ვერდის,
მაგრამ მე მაინც ვერ მომასვენებს
და ლოდინს ვარჩევ მწვანე კონცერტის.
ჩემს ფიქრებს ვანდობ მე ჩემ ყალიონს,
ახლა იმედით გავ ლებ კარებს,
ყოველ დღე ველი მე ფოსტალიონს
და ვკოცნი მხოლოდ ნაჩუქარ [illegible] იაზს
დღე[illegible]
[illegible]ბულ იქმნება სამარე[illegible]

[illegible]ველი.